



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი №5 - ბარათი

1. ამ დანართის მიზნებისთვის ქვემოთ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. **ავტომატურად განმეორებადი (რეკურენტული) ოპერაცია** - მომსახურების ან/და საქონლის საფასურის პერიოდული გადახდა, როდესაც ბარათით საფასურის გადახდის საგადახდო დავალება, ინიცირებულია გამყიდველის/მომსახურების გამწვევის მიერ, ბარათის მფლობელის თანხმობის საფუძველზე.
 - 1.2. **ბანკომატით თანხის განაღდების ლიმიტი** - 24 საათის განმავლობაში, ბანკომატის მეშვეობით განაღდების ოპერაციის შესრულების მაქსიმალური თანხობრივი ან/და რაოდენობრივი მოცულობა;
 - 1.3. **პოს-ტერმინალი** - ელექტრონული/ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება:
 - სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად შესაძლოა მოიცავდეს განაღდების ოპერაციასაც;
 - რეფანდის ოპერაციის (Refund) განსახორციელებლად;
 - რევერსალის ოპერაციის (Reversal) განსახორციელებლად.
 - 1.4. **ელექტრონული კომერციის ტერმინალი** - ვირტუალური პოს-ტერმინალი (პროგრამული უზრუნველყოფა), რომელიც გამოიყენება:
 - ელექტრონული კომერციის ობიექტის სასარგებლოდ, ინტერნეტსივრცეში, ბარათით გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად,
 - რეფანდის ოპერაციის (Refund) განსახორციელებლად;
 - რევერსალის ოპერაციის (Reversal) განსახორციელებლად.
 - 1.5. **ონლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომლის დროსაც მოწმდება ბარათის ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა და მხოლოდ ოპერაციის შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში ხდება ოპერაციის შესრულება;
 - 1.6. **ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომლის შესრულებაც ხდება ბარათის ანგარიშზე არსებული, ოპერაციის შესაბამისი თანხის ხელმისაწვდომობის გადამოწმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ოპერაციის შესრულებამ გამოიწვიოს ანგარიშზე არასანქცირებული ლიმიტის დაშვება.
 - 1.7. **პოს-ტერმინალით თანხის განაღდების ლიმიტი** - 24 საათის განმავლობაში პოს-ტერმინალის მეშვეობით განაღდების ოპერაციის შესრულების მაქსიმალური თანხობრივი ან/და რაოდენობრივი მოცულობა, რომელიც შედის ბანკომატით თანხის განაღდების ლიმიტში;
 - 1.8. **რეფანდის ოპერაცია (Refund)** - ბარათით გადახდის ოპერაციის საფუძველზე შეძენილი პროდუქტის (საქონლის ან/და მომსახურების) უკან დაბრუნების გამო ბარათით გადახდის ოპერაციის თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
 - 1.9. **რევერსალის ოპერაცია (Reversal)** - ბარათით გადახდის ოპერაციის გაუქმების გამო ბარათით გადახდის ოპერაციის თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
 - 1.10. **საგადახდო აპლიკაცია** - მოწყობილობაში ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა ან მისი ეკვივალენტი, რომლითაც შესაძლებელია ბარათით გადახდის ოპერაციის ან განაღდების ოპერაციის ინიცირება და შესაბამისი დავალების გაცემა.
 - 1.11. **Chargeback** - ბარათის შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის წესებისა და პირობების შესაბამისად, ბარათის მეშვეობით შესრულებული გადახდის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის გაპროტესტების პროცედურა, რომლის შედეგად საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის მიერ შესაძლებელია ანგარიშზე დაბრუნდეს ოპერაციის შესაბამისი თანხა.
 - 1.12. **Cash-back** - ბანკის აქციის ფარგლებში, აქციით დადგენილი პირობებით და ოდენობით, კლიენტის მიერ კონკრეტულ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშზე ბენეფიტად ჩარიცხული თანხა.
 - 1.13. **MCC - ISO 18245** სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობის კრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი.



2. **ბანკი ახორციელებს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ტიპის ბარათის (მათ შორის საკრედიტო ბარათის, სადებეტო ბარათის, წინასწარი გადახდის ბარათის) ემისიას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს შემდეგ საბარათე სქემაში: Visa, Mastercard, American Express, Georgian Card. ამასთან, კონკრეტული ბარათის ტიპისა და საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბარათის განაცხადში ან/და ბარათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პირობებში, ასევე საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია დატანილია ბარათზე.**
3. **ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.**
4. **ბარათის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი სახის ოპერაციის განხორციელება:**
 - 4.1. **განაღების ოპერაცია;**
 - 4.2. **გადახდის ოპერაცია (ბარათით საქონლის ან/და მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით პოს-ტერმინალზე გადახდა ან/და ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ით, ელექტრონული კომერციის ტერმინალზე (ინტერნეტ) გადახდა);**
 - 4.3. **თანხის ჩარიცხვა/შეტანა, მათ შორის P2P გადარიცხვის ოპერაციის საფუძველზე, რომლის პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge;**
 - 4.4. **თანხის გადარიცხვა P2P გადარიცხვის ოპერაციის საფუძველზე, რომლის პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge;**
 - 4.5. **ვალუტის გადაცვლა - კონვერტაცია.**
5. **საბარათე სქემიდან ან/და ბარათის ტიპიდან გამომდინარე, კონკრეტულ ბარათთან მიმართებით არსებული სპეციფიკური (მათ შორის დაშვებული ან/და შეზღუდული ოპერაციების შესახებ) პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება აღნიშნულ ბარათთან დაკავშირებული განაცხადით ან/და სპეციფიკური პირობებით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge;**
6. **შესაძლებელია ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის (გარდა Georgian Card-ის ლოკალურ საბარათე სქემაში ჩართული ბარათებისა) შენახვა/დამახსოვრება საგადახდო აპლიკაციაში ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში - ტელეფონი, საათი, სამაჯური ან სხვა. ამასთან:**
 - 6.1. **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის შენახვა/დამახსოვრება შესაძლებელია:**
 - 6.1.1. **Apple Pay საგადახდო აპლიკაციაში;**
 - 6.1.2. **Google Pay საგადახდო აპლიკაციაში;**
 - 6.1.3. **Garmin Pay საგადახდო აპლიკაციაში.**
 - 6.2. **Apple Pay წარმოადგენს კომპანია Apple-ის საგადახდო აპლიკაციას;**
 - 6.3. **Google Pay წარმოადგენს კომპანია Google-ის საგადახდო აპლიკაციას;**
 - 6.4. **Garmin Pay წარმოადგენს კომპანია Garmin-ის საგადახდო აპლიკაციას.**
 - 6.5. **იმდენად, რამდენადაც Apple Pay, Google Pay და Garmin Pay წარმოადგენს მესამე პირის მიერ შემუშავებულ საგადახდო აპლიკაციას, მისი გამოყენების ძირითად პრინციპებს, ისევე როგორც აღნიშნულის ფარგლებში ოპერაციების შესრულების ძირითად პირობებს ადგენს შესაბამისი მესამე პირი (შემდგომში - საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანია). ამასთან, საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის მიერ დადგენილი პირობები კლიენტისთვის მოქმედია წინამდებარე დანართის პირობებთან ერთად.**
 - 6.6. **Apple Pay, Google Pay და Garmin Pay საგადახდო აპლიკაციით სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს ბანკის და საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის მიერ დადგენილ პირობებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ხელშეკრულებით დადგენილი, ბარათთან დაკავშირებული პირობები, სრულად ვრცელდება საგადახდო აპლიკაციაში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე).**
 - 6.7. **Apple Pay, Google Pay და Garmin Pay საგადახდო აპლიკაციის სათანადო ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანია.**
 - 6.8. **საგადახდო აპლიკაციაში შესაძლებელია, როგორც პლასტიკური ბარათების, ასევე ციფრული ბარათების (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის) შენახვა/დამახსოვრება.**



- 6.9. კლიენტს შესაძლებლობა აქვს საგადახდო აპლიკაციაში შეინახოს/დამახსოვროს ერთდროულად რამდენიმე ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი).
- 6.10. კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, საგადახდო აპლიკაციის მიერ დადგენილი წესით, წაშალოს მის მიერ საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი).
- 6.11. საგადახდო აპლიკაციაში ბარათის (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის) შენახვის/დამახსოვრების შედეგად ოპერაციები ინიცირდება აღნიშნული საგადახდო აპლიკაციის გამოყენებით, რომელიც თავის მხრივ ოპერაციის ინიცირებისთვის იყენებს შესაბამის უკონტაქტო აპლიკაციას.
- 6.12. Apple Pay, Google Pay და Garmin Pay საგადახდო აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:
 - 6.12.1. განაღდების ოპერაცია;
 - 6.12.2. გადახდის ოპერაცია (საქონლის ან/და მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით პოს-ტერმინალზე ან/და ელექტრონული კომერციის ტერმინალზე გადახდა საგადახდო აპლიკაციის მეშვეობით).
- 6.13. ბანკი უფლებამოსილია, ბარათის (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის) Apple Pay, Google Pay და Garmin Pay საგადახდო აპლიკაციაში ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში შენახვა/დამახსოვრებიდან 24 საათის განმავლობაში, შესაბამის ბარათთან მიმართებით დააწესოს ოპერაციის განხორციელების ლიმიტები.
- 6.14. კლიენტი ვალდებულია:
 - 6.14.1. საგადახდო აპლიკაციის მესამე პირის მიერ წვდომისგან დაცვის მიზნით გამოიყენოს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის პერსონალური დაცვის საშუალება - სახის იდენტიფიკატორი (Face ID), პას კოდი, თითის ანაბეჭდი ან/და სხვა;
 - 6.14.2. არ მისცეს მესამე პირს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის გამოყენების უფლება;
 - 6.14.3. არ გახადოს ხელმისაწვდომი ან/და არ გაანდოს მესამე პირს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის დაცვის ან/და ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ისა და დაცვის საშუალებების (პინ-კოდი, ერთჯერადი კოდი ან სხვა) შესახებ ინფორმაცია;
 - 6.14.4. საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის ან/და ბარათის უსაფრთხოების დაცვის მიზნით არ გამოიყენოს ადვილად მიხვედრადი ან გამოცნობადი საშუალებები;
 - 6.14.5. არ დატოვოს საგადახდო აპლიკაცია ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობა უყურადღებოდ, ისე რომ შესაძლებელი იყოს მესამე პირების მიერ მისი გამოყენება;
 - 6.14.6. გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი მესამე პირი, რომელსაც აქვს საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის გამოყენების/განბლოკვის შესაძლებლობა ასევე შეძლებს განახორციელოს ოპერაციები;
 - 6.14.7. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს ან გამოცხადდეს ბანკში პირადად და მოითხოვოს ბარათის დაბლოკვა ან დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით დაბლოკოს ბარათი, თუ საგადახდო აპლიკაცია ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობა (ტელეფონი, საათი, სამაჯური ან სხვა) მოპარული ან დაკარგულია ან/და კლიენტს ეჭვი აქვს, რომ საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის მეშვეობით მესამე პირს აქვს შესაძლებლობა შეასრულოს ოპერაცია. ამასთან, თავის მხრივ ბანკი კლიენტის განცხადების შესაბამისად უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას.
 - 6.14.8. გაითვალისწინოს, რომ კლიენტის მიერ Apple Pay, Google Pay და Garmin Pay საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები) შენახულია/დამახსოვრებულია Apple Pay / Google Pay / Garmin Pay საგადახდო აპლიკაციის შესაბამის Apple, Google და Garmin ანგარიშზე, შესაბამისად თუ მისი Apple ან/და Google ან/და Garmin ანგარიში (Apple Account / Google Account / Garmin Account) ხელმისაწვდომია საგადახდო



- აპლიკაციით** აღჭურვილ რამდენიმე მოწყობილობაზე ან/და ინტერნეტ საძიებო სისტემაში, მაშინ **ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია თითოეული ასეთი მოწყობილობის/სისტემის გამოყენებით;
- 6.14.9. გაითვალისწინოს, რომ ინტერნეტ საძიებო სისტემის ან/და **საგადახდო აპლიკაციის** წაშლა არ იწვევს Apple ან Google ან Garmin ანგარიშიდან (Apple Account / Google Account / Garmin Account) **ბარათის** (ბარათის **საიდენტიფიკაციო მონაცემების**) წაშლას. ამასთან, თუ **კლიენტს** სურს რომ წაშალოს დამახსოვრებული/შენახული **ბარათი** (ბარათის **საიდენტიფიკაციო მონაცემები**) რათა შეუძლებელი იყოს **ოპერაციის** განხორციელება, **კლიენტი** ვალდებულია წაშალოს **ბარათი** (ბარათის **საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**) შესაბამისი Apple / Google / Garmin ანგარიშიდან (რომლის განხორციელებაც ასევე შესაძლებელია შესაბამისი **საგადახდო აპლიკაციის** გამოყენებით) ან დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით დაბლოკოს **ბარათი**.
- 6.15. თუ **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილი მოწყობილობის დაცვის საშუალებად გამოყენებულია **მესამე პირის** იდენტიფიკატორები (მაგ. სახის იდენტიფიკატორი, თითის ანაბეჭდი) აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი **მესამე პირისათვის** **ოპერაციების** შესრულების მინიჭების უფლებამოსილებას, შესაბამისად **მესამე პირის** მიერ ინიცირებული **ოპერაცია** ჩაითვლება ავტორიზებულად.
- 6.16. **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილი მოწყობილობის შეცვლისას, გასხვისებისას ან/და **მესამე პირისთვის** მფლობელობაში გადაცემისას **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ წაშალოს **ბარათი** (ბარათის **საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი**) **საგადახდო აპლიკაციიდან** ან დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით დაბლოკოს **ბარათი**.
- 6.17. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 6.17.1. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს ან შეცვალოს **საგადახდო აპლიკაციის** ან/და **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილი მოწყობილობის მეშვეობით **ოპერაციის** შესრულების **ლიმიტები** (მათ შორის თანხობრივი ან/და რაოდენობრივი ან/და დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) **ოპერაციის** შესრულების **ლიმიტები**);
- 6.17.2. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებით, დაადგინოს **საგადახდო აპლიკაციაში** **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** შენახვისას/დამახსოვრებისას ან/და მისი მეშვეობით **ოპერაციის** შესრულებისას უსაფრთხოების დაცვის ან/და **კლიენტის** ავთენტიფიკაციის/იდენტიფიკაციის /ვერიფიკაციის წესები და პირობები;
- 6.17.3. საკუთარი შეხედულებისამებრ დაადგინოს **ბარათის** ტიპები, რომლის **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის** **საგადახდო აპლიკაციაში** ან/და **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილ მოწყობილობაში ჩატვირთვა/დამახსოვრება შეზღუდულია;
- 6.17.4. განახორციელოს **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილ მოწყობილობასთან (მათ შორის მოწყობილობის მოდელის, საოპერაციო სისტემის ან/და სხვა) ან/და **საგადახდო აპლიკაციასთან** დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება/დამუშავება;
- 6.17.5. **კლიენტის** მიერ **საგადახდო აპლიკაციით** სარგებლობის მიზნებისთვის **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან/და **კლიენტის** კუთვნილი **ბარათის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერ კომპანიას**.
- 6.17.6. დაბლოკოს ან/და შეაჩეროს **საგადახდო აპლიკაციაში** შენახული/დამახსოვრებული **ბარათის** მოქმედება ან/და უარის თქვას **ოპერაციის** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ:
- 6.17.6.1. **ბანკს** აქვს ეჭვი **საგადახდო აპლიკაციის** ან/და **საგადახდო აპლიკაციით** აღჭურვილი მოწყობილობის არამართლზომიერი (მათ შორის თაღლითურად) გამოყენების შესახებ;
- 6.17.6.2. **საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერი კომპანიის** ან/და საბარათე სქემის მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად არსებობს არავტორიზებული **ოპერაციის** შესრულების რისკი ან/და არსებობს საბარათე სქემის მოთხოვნა ამგვარ ქმედებაზე;
- 6.17.6.3. **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 6.17.7. ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ **საგადახდო აპლიკაციით** სარგებლობა (**კლიენტის** მიერ **საგადახდო**



- აპლიკაციის მეშვეობით ოპერაციის ინიცირების შესაძლებლობა) თუ შეწყდება ბანკსა და საგადახდო აპლიკაციის პროვაიდერ კომპანიას შორის არსებული შესაბამისი გარიგება;
7. ბარათით დაშვებული ოპერაციები, შესაბამისი საბარათე სქემით დადგენილ ფარგლებში, შეიძლება იყოს შემდეგი ხასიათის:
 - 7.1. ონლაინ ოპერაცია;
 - 7.2. ოფლაინ ოპერაცია;
 - 7.3. ავტომატურად განმეორებადი (რეკურენტული) ოპერაცია.
 8. ბარათით ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის პირობები მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge განთავსებულ დოკუმენტში - საბარათე ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის სქემები, რომელიც კლიენტის დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე ექვემდებარება ბანკის შეხედულებისამებრ პერიოდულ განახლებას/ცვლილებას.
 9. ბარათით შესრულებულ ოპერაციაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სერვის-ცენტრში ან/და ბანკის შემდეგი დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით: ინტერნეტ ბანკი, ტელეფონ ბანკი, მობილ ბანკი, იმეილ ბანკი, SMS ბანკი (ოპერაციის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებით).
 10. ბანკის მიერ კლიენტის პრეტენზიის/საჩივრის მიღების პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge, რომელიც კლიენტის დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ექვემდებარება ბანკის შეხედულებისამებრ პერიოდულ განახლებას/ცვლილებას. ამასთან, ბანკის მიერ მიღებულ პრეტენზიაზე/საჩივარზე რეაგირების პირობები და ვადები (მათ შორის განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, კლიენტის პრეტენზიაზე/საჩივარზე განხილვის ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში კლიენტის ინფორმირების პირობები და ვადები) დადგენილია ამავე პირობების შესაბამისად.
 11. ბარათი ძალაშია იმ თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია ბარათზე.
 12. ბანკი კლიენტს PIN კოდს გადასცემს დალუქული კონვერტის ან კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით.
 13. იმ შემთხვევაში თუ განაცხადით არ არის განსაზღვრული ბარათის ძირითადი ვალუტა, მაშინ ბარათის ძირითად ვალუტა არის ლარი.
 14. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები სრულად ვრცელდება დამატებით ბარათზე/დამატებითი ბარათის მფლობელზე.
 15. დამატებითი ბარათით ჩატარებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხისმგებელია კლიენტი.
 16. ბანკომატმა შესაძლებელია დააკავოს ბარათი:
 - 16.1. PIN კოდის არასწორად შეყვანის შემთხვევაში;
 - 16.2. არსებობს ეჭვი ბარათის არამართლზომიერი (მათ შორის თაღლითური) გამოყენების შესახებ;
 - 16.3. ლოკალური ან/და საერთაშორისო საბარათე სქემის ინფორმაციის შესაბამისად არსებობს ბარათის მეშვეობით არავატორიზებული ოპერაციის შესრულების რისკი;
 - 16.4. არსებობს ლოკალური ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის შესაბამისი მოთხოვნა ბარათის დაკავებასთან დაკავშირებით.
 17. ბანკის ბანკომატის მიერ დაკავებულ ბარათთან დაკავშირებით კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს სერვის-ცენტრის ან ტელეფონ ბანკის მეშვეობით. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ბარათის ბანკომატის მიერ დაკავებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში კლიენტი არ მიმართავს ბანკს, გამოყენების მიზნით (თუ ბარათის დაკავების მიზეზიდან გამომდინარე ბარათის გამოყენება შესაძლებელია), ბარათის კლიენტისთვის დაბრუნების თხოვნით, მაშინ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე გააუქმოს ბარათი.
 18. ბანკის ბანკომატზე მითითებული QR კოდის მობილ ბანკის გამოყენებით დასკანერებით, ბარათის ანგარიშიდან, ბანკის ბანკომატით თანხის განაღდებისას, კლიენტზე სრულად გავრცელდება ბარათისთვის ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტები, ასევე ბარათის მეშვეობით, ბანკის ბანკომატიდან თანხის განაღდებისთვის დადგენილი საკომისიოები.



19. **ბარათის** მეშვეობით **ოპერაციის** შესრულების შემთხვევაში **კლიენტს** არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** **ოპერაციის** შეჩერება ან გაუქმება.
20. **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ოპერაცია**, რომელიც **ავტორიზებულია**, მაგრამ **ჯერ** არ არის გადახდილი იმ შემთხვევაში, თუ **ბანკს** გააჩნია სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ ის **ოპერაცია** გაუქმდა.
21. **ბარათის** დამზადდება შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე.
22. **ბარათის** მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში:
 - 22.1. **ბარათი** უქმდება;
 - 22.2. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბარათი** დაუბრუნოს **ბანკს**;
 - 22.3. თუ **ბარათის** ვადის გასვლისას არ მოხდება ახალი **ბარათის** დამზადება, **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს **ბარათის** შესაბამისი **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში** ან აღნიშნულ **ანგარიშთან** მიმართებით **კლიენტს** გაუწიოს **სტანდარტული მიმდინარე ანგარიშით** მომსახურება.
 - 22.4. **ბარათის** მოქმედების ვადის გასვლიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში **კლიენტს** ეკრძალება **ბარათის** შესაბამისი **ანგარიშიდან** თანხების გადარიცხვა, გატანა ან **ანგარიშზე** არსებული სახსრების სხვაგვარად გამოყენება, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ამასთან, **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლებელია წინამდებარე **პუნქტში** მოცემული ვადა გაგრძელდეს დამატებითი 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით.
23. თუ **ბარათი** მოპარული ან დაკარგულია ან **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის მისი **PIN კოდი** ან სხვა **წვდომის კოდი**, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით დაბლოკოს **ბარათი**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **ბარათით** შესაძლებელია **გადახდის** **ოპერაციის** ან/და **განაღების** **ოპერაციის** შესრულება **PIN კოდის** გარეშე, მაშინ **კლიენტი** ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ **ბარათის** დაბლოკვამდე **გადახდის** **ოპერაციის** ან/და **განაღების** **ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია ყოველგვარი დაბრკოლების (**PIN კოდის** გამოყენების) გარეშე.
24. საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის ან/და **კანონმდებლობის** ან/და **ბანკის** პოლიტიკა/პროცედურებით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნის ან/და **ბარათის** არამართლზომიერი (მათ შორის თაღლითური) გამოყენების ან ასეთის ეჭვის არსებობის შეთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეაჩეროს, ამოიღოს, გააუქმოს ან აკრძალოს **ბარათის** გამოყენება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 24.1. ამოიღოს **ბარათი** თავად ან **მესამე პირის** (მათ შორის სავაჭრო/მომსახურების ობიექტის) მეშვეობით;
 - 24.2. **ბარათის** ამოღების, გაუქმების ან/და გამოყენების აკრძალვის შემთხვევაში დახუროს **ბარათთან** დაკავშირებული **უნივერსალური მიმდინარე ანგარიში**.
25. საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საგადახდო საბარათე სქემის ან/და **კანონმდებლობის** ან/და ექვარიინგის განმახორციელებელი ფინანსური ინსტიტუტის პოლიტიკა/პროცედურებით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნის ან/და **ბარათის** არამართლზომიერი (მათ შორის თაღლითური) გამოყენების ან ასეთის ეჭვის არსებობის შეთხვევაში ექვარიინგის განმახორციელებელი ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია დააკავოს/ამოიღოს **ბარათი**. ამასთან: ა) **ბანკი** პასუხს არ აგებს აღნიშნულის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე; ბ) ექვარიინგის განმახორციელებელმა ფინანსურმა ინსტიტუტმა შესაძლებელია **ბარათის** დაკავება/ამოღება განახორციელოს თავად (მათ შორის **ბანკომატის** მეშვეობით) ან **მესამე პირის** - სავაჭრო/მომსახურების ობიექტის მეშვეობით.
26. თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილია **ბარათის** დაბლოკვა, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი გაიტანოს თანხები **ბარათის** შესაბამისი **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან** **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან/და სხვაგვარად გამოიყენოს **ბარათი**, **ბარათის** განბლოკვამდე.
27. **ბარათის** დაბლოკვის შემდეგ, **ბანკი** უფლებამოსილია **ბარათთან** დაკავშირებულ **ანგარიშს** მოემსახუროს **სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის** პირობების შესაბამისად.
28. როგორც კი **ბანკი** მიიღებს შეტყობინებას **ბარათის** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, **ბანკი** დაბლოკავს **ბარათს**.



29. თუ კლიენტი იპოვის დაკარგულ ბარათს, რომელიც დაბლოკილია, კლიენტი ვალდებულია გამოცხადდეს ბანკში და წერილობით განაცხადოს ბლოკირების მოხსნის შესახებ ან დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით განბლოკოს ბარათი, თუ იმ პერიოდისთვის ბარათი არ არის გაუქმებული ან ვადაგასული.
30. კლიენტი არ არის პასუხისმგებელი ბარათის უკანონო გამოყენებით გამოწვეულ ზარალზე, თუ მას ან/და მის მიერ განსაზღვრულ მესამე პირს არ მიუღია (ჩაუბარებია) ბარათი.
31. ბარათის შესაბამისი უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბარათით მომსახურების ფარგლებში არსებული და წარმოშობილი ყველა და ნებისმიერი სახის საკომისიო ან/და დავალიანება, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ბარათით შესრულებული ნებისმიერი ოპერაციის თანხა (მათ შორის ოფლაინ ოპერაციის ან/და ისეთი ოპერაციის თანხა, რომელიც ბარათის შესაბამისი საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის ფარგლებში, კლიენტის გადასახდელში აღირიცხება მას შემდეგ რაც ბარათი აღარ არის მოქმედი). ამასთან, კლიენტის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:
- 31.1. უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვასთან ერთად გაუქმდება მასზე დაკავშირებული ყველა ბარათი;
- 31.2. თუ განაცხადით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული, უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის საპროგნოზო თარიღი შეადგენს ბანკის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის შესახებ კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) დღეს;
- 31.3. კლიენტის მიერ უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვის მოთხოვნის მომენტიდან, კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, უნივერსალური მიმდინარე ანგარიშთან მიმართებით არ შეასრულოს საბანკო ოპერაცია. ამასთან, კლიენტი ვალდებულია გააუქმოს ყველა მუდმივი საგადასახადო დავალება, ავტომატური გადახდები ან სხვა სადებეტო დავალება;
- 31.4. დასახური უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის დახურვა განხორციელდება ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი №2 - ანგარიშის მომსახურების პირობების შესაბამისად.
32. კლიენტის დავალებით დამატებითი ბარათის მესამე პირზე გაცემის შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი თუ მესამე პირი არ მიიღებს ბარათს ან წვდომის კოდებს.
33. ბარათი აღჭურვილია უკონტაქტო აპლიკაციით. ამასთან:
- 33.1. ბარათის უკონტაქტო აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია პოს-ტერმინალზე ბარათით გადახდის ოპერაციის (რომელიც ამავედროულად შეიძლება მოიცავდეს განაღდების ოპერაციასაც) და ბანკომატით განაღდების ოპერაციის შესრულება.
- 33.2. უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენებით, PIN კოდის გარეშე ერთჯერადი გადახდის ოპერაციის ლიმიტი შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს. ამასთან, უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენებით, PIN კოდის გარეშე მიყოლებით შესრულებული გადახდის ოპერაციების მაქსიმალური თანხა შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.
- 33.3. უკონტაქტო აპლიკაციით აღჭურვილი ბარათის დაბლოკვისას კლიენტი ვალდებულია მოითხოვოს როგორც ბარათის დაბლოკვა, ასევე უკონტაქტო აპლიკაციის დაბლოკვა.
34. ბანკი ვალდებულია:
- 34.1. უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან თანხების ჩამოწერა განახორციელოს განაცხადში, კლიენტის მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;
- 34.2. ბარათის გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი ბარათის ბანკისათვის გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.
35. ბანკი უფლებამოსილია:
- 35.1. ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს ან შეცვალოს ბარათის მეშვეობით ოპერაციის შესრულების ლიმიტები (მათ შორის ბარათით/ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებით (მათ შორის უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენებით) გადახდის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის ლიმიტები ან/და თანხობრივი ან/და რაოდენობრივი ან/და დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ. დღე, კვირა, თვე და ა.შ.) ოპერაციის შესრულების ლიმიტები).

- 35.2. დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათი, იმ შემთხვევაში თუ უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე დაფიქსირდება არასანქცირებული ლიმიტი.
- 35.3. დამატებითი ბარათის მფლობელს გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის ამონაწერი ან/და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათის სათანადო გამოყენებისთვის), რომელიც დაკავშირებულია დამატებით ბარათთან.
- 35.4. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადაში შეცვალოს ბარათი ახლით, რის შესახებაც კლიენტს შეატყობინებს 14 (თოთხმეტი) დღით ადრე.
- 35.5. ბანკის მიერ საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისა და ბარათით მომსახურების მიზნებისთვის, ბარათის შესაბამის საერთაშორისო საბარათე სქემას ან ლოკალურ საბარათე სქემას მიაწოდოს კლიენტის ან/და ბარათის შესახებ ნებისმიერი სახის (მათ შორის ბარათის დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ) ინფორმაცია.
- 35.6. ის თანხები, რომლებიც ბარათის შესაბამისი საერთაშორისო ან ლოკალური საბარათე სქემის წესებისა ან/და კანონმდებლობის მიხედვით შეიძლება გახდეს დავის საგანი ან/და უკვე წარმოადგენს დავის საგანს, ასევე, სადავო თანხასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი/გადასახდელი:
- 35.6.1. არ გახადოს კლიენტისთვის ხელმისაწვდომი, მათ შორის დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე;
- 35.6.2. ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან. ამასთან, კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე დაუშვას არასანქცირებული ლიმიტი, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს იმ მომენტისათვის არ გააჩნია ანგარიშებზე შესაბამისი სახსრები.
- 35.7. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება.
- 35.8. გააუქმოს ბარათი ან/და დახუროს ბარათთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიში იმ შემთხვევაში თუ ბარათის დამზადების შესახებ განაცხადის წარდგენის დღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება გამოყენებული ბარათი ან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნება ბარათი კლიენტის მიერ ჩაბარებული.
- 35.9. გააუქმოს ბარათი იმ შემთხვევაში თუ ბარათის ადგილზე მიტანის სერვისის მეშვეობით ბარათის მიწოდებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კლიენტი არ გამოიყენებს ბარათს.
- 35.10. Chargeback-ის მიზნებისთვის:
- 35.10.1. ბარათის შესაბამის საერთაშორისო საბარათე სქემასთან ან ლოკალურ საბარათე სქემასთან მიმართებით, კლიენტი ანიჭებს ბანკს სრულ და შეუზღუდავ უფლებამოსილებას, მათ შორის ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად მიღების უფლებას.
- 35.10.2. კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ მოთხოვნილ ვადაში, ფორმით და პირობების შესაბამისად წარუდგინოს ბანკს, ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, რაც საჭიროა შესაბამისი საბარათე სქემის ფარგლებში Chargeback-ის პროცედურისთვის.
- 35.11. Chargeback-ის საფუძველზე კლიენტისთვის ოპერაციის თანხის დაბრუნების შემთხვევაში ბანკი კლიენტს შესაბამის თანხას ჩაურიცხავს ბანკის მიერ თანხის მიღებისთანავე.
- 35.12. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს ბანკისგან დაუბრუნდება/აუნაზღაურდება ბარათით გადახდის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის შედაგად ჩამოჭრილი თანხა და Chargeback-ის შესაბამისად დადგინდება, რომ ოპერაცია შესრულებულია საერთაშორისო საბარათე სქემის ან ლოკალური საბარათე სქემის მოთხოვნების დაცვით და შესაბამისად ოპერაციის თანხა ეკუთვნის ექვირერს/მიმღებს, მაშინ კლიენტი ვალდებულია 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში აღნიშნული თანხა სრულად დაუბრუნოს ბანკს.
- 35.13. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს ბანკისგან (მათ შორის Chargeback-ის საფუძველზე) დაუბრუნდება/აუნაზღაურდება ბარათით გადახდის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის შედაგად ჩამოჭრილი თანხა და ამავდროულად ექვირერის/მიმღების მიერ შესრულებული თანხის დაბრუნების ოპერაციის საფუძველზე კლიენტს დაუბრუნდება იმ ბარათით გადახდის ოპერაციის ან/და განაღდების ოპერაციის თანხა, რომელიც კლიენტს უკვე მიღებული/ანაზღაურებული აქვს



- (მათ შორის **Chargeback**-ის შესაბამისად), მაშინ **კლიენტი** ვალდებულია 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში აღნიშნული **ოპერაციის** თანხა სრულად დაუბრუნოს **ბანკს**.
- 35.14. წინამდებარე **დანართით** დადგენილ ვადაში, **კლიენტის** მიერ **ოპერაციის** შესაბამისი თანხის **ბანკისთვის** დაუბრუნებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია:
- 35.14.1. **ბარათით გადახდის ოპერაციის** ან/და **განაღების ოპერაციის** შესაბამისი თანხა, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, ჩამოწეროს **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან**, ხოლო თუ **ოპერაციის** შესაბამისი თანხა და **ანგარიშზე** არსებული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს **კონვერტაციას** გადახდის თარიღისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ/**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოიწერება **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან**, ხოლო კონვერტირებული თანხა მიემართება გადასახდელის დასაფარად;
- 35.14.2. **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე **ბარათის** შესაბამის **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაუშვას არასანქცირებული **ლიმიტი Chargeback**-ის თანხის მოცულობით.
- 35.15. **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის ან/და შეტყობინების გარეშე, **კლიენტის ანგარიშიდან** ჩამოაჭრას ჩარიცხული **Cash-back**, იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა **ბარათით** განხორციელებული ის **ოპერაცია**, რომლის საფუძველზეც **კლიენტს ანგარიშზე** დაერიცხა **Cash-back** და **კლიენტს ანგარიშზე** დაუბრუნდა გაუქმებული **ოპერაციის** თანხა.
36. **კლიენტი** ვალდებულია:
- 36.1. **განაცხადის** შევსებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** ჩარიცხოს თანხა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით.
- 36.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებთან** დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის **პოს-ტერმინალის, ელექტრონული კომერციის ტერმინალის, ბანკომატის** მიერ გაცემული **ოპერაციის** შესაბამისი საბარათე ქვითარი და წარუდგინოს იგი **ბანკს, ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში.
- 36.3. **სერვის-ცენტრში** წერილობითი განცხადებით ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს ბარათის** დაკარგვის ან მოპარვის ან **მესამე პირის** მიერ გამოყენების შესახებ.
- 36.4. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი მიწოდება **ბანკისთვის**.
- 36.5. **ბანკის** მიერ **ბარათის** გაუქმების ან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს **ბარათი ბანკს** შეტყობინებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- 36.6. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტში **ბარათით** შეძენილი საქონლის/მომსახურების უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს შეძენილი საქონლის/მომსახურების ღირებულების უკან დაბრუნება ნაღდი ანგარიშსწორების გზით (თანხის დაბრუნება განხორციელდება შესაბამისი **რევერსალის ოპერაციის (Refund)** ან **რეფანდის ოპერაციის (Reversal)** გზით);
- 36.7. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს **ბარათი ბანკს**;
- 36.8. ხელი მოაწეროს **ბარათს** მისი მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოაწერს ხელს **ბარათს** ან ხელმოწერის **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ფაქსიმილიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს, ჩამოართვას ან შეუზღუდოს **კლიენტს ბარათის** ან **წვდომის კოდების** გამოყენების შესაძლებლობა;
- 36.9. უსაფრთხოდ შეინახოს **ბარათი** და არ მისცეს **მესამე პირებს** მისი გამოყენების შესაძლებლობა;
- 36.10. დაიმახსოვროს და შემდეგ დაუყოვნებლივ გაანადგუროს **წვდომის კოდები** მათი მიღებისას;
- 36.11. არასოდესროს არ დაწეროს **წვდომის კოდები** ან/და **ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემ(ებ)ი** ისე, რომ **მესამე პირებმა** შეძლონ მათი მოპოვება;
- 36.12. არავის გაანდოს **ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემ(ებ)ი**;
- 36.13. ინტერნეტ სივრცეში **ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემ(ებ)ის** შენახვის/დამახსოვრების შემთხვევაში გაითვალისწინოს **ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემ(ებ)ის** შესაძლო გამჟღავნებისა და არავტორიზებული **ოპერაციების** შესრულების რისკი;



- 36.14. ყოველთვის დაიცვას **ბარათით** სარგებლობის წესები და **ბარათის** უსაფრთხოების ზომები;
- 36.15. გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები;
- 36.16. აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი/ზარალი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო.
37. **კლიენტი** უფლებამოსილია:
- 37.1. მოითხოვოს **დამატებითი ბარათის** დამზადება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **ბარათებზე**;
- 37.2. **ბარათით** განახორციელოს **ოპერაციები** მხოლოდ **ბანკის** მიერ დადგენილი **ლიმიტების** და **ბარათთან** დაკავშირებულ **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** ხელმისაწვდომი თანხების ფარგლებში;
- 37.3. მოითხოვოს **ბარათის** განახლება;
- 37.4. წერილობითი **განაცხადის** ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით შეწყვიტოს **ბარათის** ან **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **დამატებითი ბარათის** გამოყენება;
- 37.5. **განაცხადის** საფუძველზე მოითხოვოს პლასტიკური **ბარათის** (მათ შორის **ციფრული ბარათის** ანალოგი პლასტიკური **ბარათის**) ან/და **ციფრული ბარათის** დამზადება.
38. **ბანკი** არ აგებს პასუხს:
- 38.1. მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის ან/და შეუძლებლობისთვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია ტექნიკური შეფერხების/ხარვეზის ან/და **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
- 38.2. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;
- 38.3. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;
39. **კლიენტს** არ აქვს უფლება:
- 39.1. გამოიყენოს **ბარათი კანონმდებლობით** ან/და **ბარათის** გამოყენების შესაბამისი ქვეყნის იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
- 39.2. გამოიყენოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** მის ძალაში შესვლამდე ან მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ასევე **ბარათის** გაუქმების, გამოყენების შეჩერების ან ამოღების შემთხვევაში (მათ შორის მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ **ბანკმა** გააუქმა **ბარათი** ან თუ **ბარათი** დაბლოკილია ან თუ **ბანკს** დაწესებული აქვს რაიმე სახის შეზღუდვა **ბარათის** გამოყენებასთან დაკავშირებით);
- 39.3. გამოიყენოს **ბარათი** თუ მასზე არ არის **ოპერაციის** შესრულებისათვის საკმარისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **ოპერაციის** შესრულებისათვის (**საკომისიოს** თუ სხვა გადასახდელების ჩათვლით) აუცილებელი თანხის ოდენობით **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშზე** დაუშვას **ოვერდრაფტი ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
40. **ბარათთან** დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება **კანონმდებლობით, ხელშეკრულებით** და **ბარათის** შესაბამისი საბარათე სქემების მიერ განსაზღვრული პირობებით.
41. **მხარეები**, თანხმდებიან რომ იმ შემთხვევაში თუ, სრულდება ყველა შემდეგი პირობა ერთობლივად:
 ა. **კლიენტი ბარათს** უკვეთავს **მობილ ბანკის** საშუალებით და ბ. **ბარათის** შეკვეთა ხორციელდება **კლიენტის** დამსაქმებელსა და **ბანკს** შორის გაფორმებული სახელფასო პროგრამით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში/მის საფუძველზე და **ბანკისთვის** უცნობია **კლიენტის** დაკავებული სამსახურობრივი სტატუსი ან/და დამსაქმებელი **ბანკს** არ შეატყობინებს **კლიენტის** მიერ დაკავებული პოზიციას, **კლიენტს** დაუმზადდება იმ ტიპის **ბარათი**, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის არამენეჯერული პოზიციის თანამშრომლისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა სამსახურობრივ პოზიციაზე არის **კლიენტი** დასაქმებული.
42. **კლიენტის** მიერ **ციფრული ბარათის** პლასტიკური ვერსიის ან/და კონკრეტული ტიპის პლასტიკური **ბარათისა** და **ციფრული ბარათის** ერთად შეკვეთის შემთხვევაში:
- 42.1. **ციფრული ბარათი** და პლასტიკური **ბარათი** წარმოადგენს ერთსა და იმავე **ბარათს**;
- 42.2. **ციფრული ბარათს** და პლასტიკური **ბარათს** გააჩნიათ ანალოგიური **ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები**;
- 42.3. **ციფრული ბარათი** და პლასტიკური **ბარათი** უკავშირდება ერთსა და იმავე **უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშთან** და ვრცელდება ანალოგიური **PIN კოდი**.

43. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთდროულად ფლობდეს მაქსიმუმ 5 (ხუთი) აქტიურ **ციფრულ ბარათს**, თუ **ბანკის** მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული **ბანკის** შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან, ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** შეუკვეთოს მაქსიმუმ 10 (ათი) **ციფრული ბარათი**, ხოლო ყოველი 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** შეუკვეთოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) **ციფრული ბარათი**. ამ **პუნქტის** მიზნებისთვის კალენდარული წლის/24 (ოცდაოთხი) საათის ათვლა დაიწყება შეკვეთილი **ციფრული ბარათის** აქტივაციის თარიღიდან/მომენტიდან.
44. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთდროულად ფლობდეს მაქსიმუმ 10 (ათ) აქტიურ პლასტიკურ **ბარათს**, თუ **ბანკის** მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული **ბანკის** შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან, ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკს** შეუკვეთოს მაქსიმუმ 10 (ათი) პლასტიკური **ბარათი**. ამ **პუნქტის** მიზნებისთვის კალენდარული წლის ათვლა დაიწყება შეკვეთილი პლასტიკური **ბარათის** აქტივაციის თარიღიდან.
45. **კლიენტი** უფლებამოსილია, **მობილ ბანკის** მეშვეობით აღადგინოს **PIN კოდი მობილ ბანკით** დადგენილი წესის შესაბამისად. აღდგენილი **PIN კოდი** გაიგზავნება **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**.
46. **MCC-ის** ჭრილში თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებია:

MCC	
7995	ფსონების დადება, მათ შორის ლატარეის ბილეთების და კაზინოს სათამაშო ჩიპების შექმნა, რბოლაზე ფსონების დადება

47. ახალი **ბარათის** დამზადების შემთხვევაში, დაბლოკილია **MCC-ის** ჭრილში თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან **ბარათის** მეშვეობით **ოპერაციების** განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილია, **ბანკში** დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად, ნებისმიერ დროს გააქტიუროს ან დაბლოკოს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან **ბარათის** მეშვეობით **ოპერაციების** განხორციელების შესაძლებლობა.
48. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სავაჭრო/მომსახურების ობიექტები, რომლებიც არ წარმოადგენენ თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებს და რომელთან მიმართებითაც **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკში** დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად დაბლოკოს ან დაბლოკვის შემდგომ გაიქტიუროს **ბარათის** მეშვეობით **ოპერაციების** განხორციელების შესაძლებლობა.
49. საქართველოს მასშტაბით American Express საბარათე სექციაში ჩართული **ბარათით** თანხის გადახდა ან/და განაღდება შესაძლებელია მხოლოდ **ბანკის** მომსახურების არხების, მათ შორის ერთმნიშვნელოვანდ **ბანკის პოს-ტერმინალების, ბანკომატების, ელექტრონული კომერციით** მომსახურების და **სერვის ცენტრების** მეშვეობით.
50. თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, Visa, Mastercard და American Express-ის საბარათე სექციის **ბარათებით** ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის შესასრულებლად სავალდებულოა გადახდის **ერთჯერადი კოდით** დადასტურება, რომელიც **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს** გაეგზავნება მის მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** და დამატებით **მობილ ბანკში** PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით იმ შემთხვევაში, თუ **მობილ ბანკში კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ ბოლო ავტორიზაცია დაფიქსირებულია უცხოეთის IP მისამართიდან ან/და თუ **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს ბანკში** დაფიქსირებული აქვს უცხოური **ფინანსური ნომერი** ან/და თუ **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს ბანკში** დაფიქსირებული აქვს ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის შესასრულებლად **ერთჯერადი კოდის** PUSH ნოტიფიკაციის საშუალებით მიღების სურვილი და მობილურ მოწყობილობას, რომელსაც **მობილ ბანკის** გამოყენებისათვის მინიჭებული აქვს სანდო მოწყობილობის სტატუსი ან/და **Digipass-ზე**, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი. **ერთჯერადი კოდის** შესაბამის ველში სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **კლიენტს/დამატებითი ბარათის**



მფლობელს ბანკის მიერ დადგენილი დროით შეეზღუდება ინტერნეტ (ონლაინ) გადახდის განხორციელება.

51. **ბარათთან** შესაძლებელია დაკავშირდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ვადიანი სამგზავრო ბარათი, რომელიც შექმნილია **მობილ ბანკის** საშუალებით. ამასთან:
 - 51.1. იმ შემთხვევაში თუ ვადიანი სამგზავრო ბარათის და **ბარათის** მოქმედების ვადა განსხვავებულია ერთანეთისგან:
 - 51.1.1. ვადიანი სამგზავრო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მგზავრობის საფასურის გადახდა მოხდება ავტომატურად **ბარათთან** დაკავშირებული **ანგარიშიდან**.
 - 51.1.2. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ, რომელზეც არის მიბმული მოქმედი ვადიანი სამგზავრო ბარათი **კლიენტი** ვერ შეძლებს ვადიანი სამგზავრო ბარათით სარგებლობას. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია ვადიანი სამგზავრო ბარათი დარჩენილი ვადიანობით დაუკავშიროს სხვა მოქმედ **ბარათს**.
 - 51.2. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** დაკარგავს **ბარათს**, რომელთანაც დაკავშირებულია ვადიანი სამგზავრო ბარათი ან აღნიშნული **ბარათი** დაზიანდება ან განადგურდება, **კლიენტი** უფლებამოსილია ვადიანი სამგზავრო ბარათი დარჩენილი ვადიანობით დაუკავშიროს სხვა მოქმედ **ბარათს**.
52. თუ **კლიენტი** წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოცემული ნორმატიული აქტის ან მისი შემცველი ნორმატიული აქტით (შემდგომში - **ნორმატიული აქტი**), განსაზღვრულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომელს და აღნიშნულის შესახებ **ბანკს** ინფორმაცია მიაწოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში:
 - 52.1. **კლიენტი** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის **ბარათით** გადახდის შემთხვევაში სარგებლობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული აქტით** განსაზღვრული საშელავათო/ფასდაკლებული ტარიფით (შემდგომში - **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი**).
 - 52.2. წინამდებარე **დანართის 52-ე პუნქტით** განსაზღვრული **კლიენტები** მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამახსოვრებული **ბარათით / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ით** მგზავრობის საფასურის გადახდისას **შელავათით / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალით** ისარგებლებენ შემდეგი პირობებით:
 - 52.2.1. **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გავრცელდება რომელიმე, მხოლოდ ერთ, **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე** ან პლასტიკურ **ბარათზე**. ამასთან, **შელავათით / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალით** სარგებლობა შესაძლებელია ავტომატურად, **კლიენტის** მიერ დამატებითი ქმედების გარეშე ან **კლიენტის** მიერ **ბანკის მობილ ბანკით** მომსახურების მეშვეობით, შემდეგი პირობების შესაბამისად:
 - 52.2.1.1. **კლიენტი** უფლებამოსილია, **ბანკის მობილ ბანკით** მომსახურების მეშვეობით განსაზღვროს, **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გაავრცელოს **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე** თუ პლასტიკურ **ბარათზე**. ამასთან:
 - 52.2.1.1.1. **შელავათის / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალის** პლასტიკური **ბარათიდან საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე** გადატანის სურვილის შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია **შელავათი / შელავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გადაიტანოს იმ **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე**, რომელიც ბოლოს შეინახა/დამახსოვრა **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში.



- 52.2.1.1.2. იმ შემთხვევაში, თუ შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი განსაზღვრულია საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე, კლიენტი უფლებამოსილია შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გადაიტანოს ან პლასტიკურ ბარათზე ან საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ იმ სხვა ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე, რომელიც ყველაზე ბოლო თარიღით (გარდა საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახული/დამატებული იმ ბარათისა, რომლიდანაც ხდება შეღავათის / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალის გადმოტანა) შეინახა/დამახსოვრა საგადახდო აპლიკაციის საფულეში.
- 52.2.1.1.3. თუ შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი განსაზღვრულია საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე და კლიენტი გააუქმებს ან სხვა მიზეზით შეწყვეტს აღნიშნული საგადახდო აპლიკაციით / საგადახდო აპლიკაციის საფულით სარგებლობას ან საგადახდო აპლიკაციიდან / საგადახდო აპლიკაციის საფულიდან წაშლის შენახულ/დამახსოვრებულ ბარათს (იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ფლობს აღნიშნული ბარათის ანალოგიურ პლასტიკურ ბარათს), კლიენტი ვალდებულია შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გადაიტანოს ან პლასტიკურ ბარათზე ან საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ იმ სხვა ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე, რომელიც ყველაზე ბოლო თარიღით (გარდა საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახული/დამახსოვრებული იმ ბარათისა, რომლიდანაც ხდება შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალის გადმოტანა) შეინახა/დამახსოვრა საგადახდო აპლიკაციის საფულეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით სარგებლობას.
- 52.2.1.1.4. თუ შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გავრცელებულია პლასტიკურ ბარათზე და კლიენტი გააუქმებს პლასტიკურ ბარათს, კლიენტი ვალდებულია გადაიტანოს შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ციფრულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით სარგებლობას.
- 52.2.1.1.5. თუ კლიენტი ფლობს მხოლოდ ციფრულ ბარათს, რომელიც შენახული/დამახსოვრებული აქვს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში (იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დანართის პირობებში შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლამდე - 2023 წლის 17 ნოემბრამდე კლიენტს ბარათი / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი შენახული/დამახსოვრებული ჰქონდა საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში), წინამდებარე დანართის პირობებში შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლიდან კლიენტი ვალდებულია შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გადაიტანოს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვერ შეძლებს შეღავათი/შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით სარგებლობას.
- 52.2.1.2. შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი პლასტიკურ ბარათზე ან საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე ავტომატურად ვრცელდება/გავრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:
- 52.2.1.2.1. კლიენტები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ პლასტიკურ ბარათს, შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით ისარგებლებენ პლასტიკური ბარათით მზავრობის საფასურის



გადახდის შემთხვევაში, მანამ, სანამ **ბანკის მობილ ბანკით** მომსახურების მეშვეობით თავად არ გადაიტანენ **შეღავათს / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე**, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული პლასტიკური ბარათი შენახულია/დამახსოვრებულია ან შემდგომში **კლიენტმა** შეიძლება შეინახოს/დაიმახსოვროს **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში.

52.2.1.2.2. **კლიენტები**, რომელიც ფლობენ მხოლოდ **ციფრულ ბარათს**, **ციფრული ბარათის საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახვის/დამახსოვრების შემთხვევაში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას **შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით** ისარგებლებენ **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამახსოვრებული **ბარათით** იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატების მომენტში **კლიენტისთვის** ვრცელდება **შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი**.

52.2.1.2.3. **კლიენტებისთვის**, რომლებიც ფლობენ **ციფრულ ბარათს** და **ციფრული ბარათის საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატებამდე გააქტიურებენ მის ანალოგიურ ან ახალ პლასტიკურ **ბარათს**, **შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გავრცელდება პლასტიკური **ბარათით** გადახდისას;

52.2.1.2.4. **კლიენტები**, რომლებსთვისაც **შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გავრცელებულია **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათზე**, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** გააუქმებს ან სხვა მიზეზით შეწყვეტს აღნიშნული **საგადახდო აპლიკაციით / საგადახდო აპლიკაციის** საფულით სარგებლობას ან წაშლის **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ **ბარათს** საფულიდან, **შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი** გავრცელდება **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამახსოვრებული აღნიშნული **ბარათის** ანალოგიურ პლასტიკურ **ბარათზე** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტი** ვერ შეძლებს **შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით** სარგებლობას.

52.2.1.2.5. **კლიენტები**, რომლებიც ფლობენ პლასტიკურ **ბარათს**, თუმცა შეჩერებული/შეწყვეტილი აქვთ წინამდებარე **დანართის 52-ე პუნქტით** განსაზღვრული სტატუსი, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ **კლიენტებს** **ბარათის საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში დამატების მომენტისთვის გაუაქტიურდათ/მიენიჭათ სტატუსი, **შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით** ისარგებლებენ **საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის** საფულეში შენახული/დამახსოვრებული **ბარათით** მგზავრობის საფასურის გადახდისას.

52.3. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე **დანართის 52-ე პუნქტით** განსაზღვრული **კლიენტი** აღარ ირიცხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომელთა სიაში (რომელსაც **ბანკს** აწვდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია), **ბანკი კლიენტს** ცალმხრივად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე, შეუწყვეტს **ნორმატიული აქტით** განსაზღვრული **შეღავათი/შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი** სარგებლობის შესაძლებლობას, იმ დრომდე ვიდრე **კლიენტი ბანკს** არ წარუდგენს **ბანკისთვის** მისაღები სათანადო ფორმით/წესით დამოწმებულ/გაცემულ დოკუმენტს იმის თაობაზე, რომ ეს უკანასკნელი დასაქმებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებაში ან **ბანკისთვის** სხვაგვარად არ გახდება ცნობილი **კლიენტის** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებაში დასაქმების თაობაზე.